

დეტოქსაპლუსი (Detoxaplus)

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა

დეტოქსაპლუსი შეიცავს მოდიფიცირებულ გლუკომანანს, რომელიც გამოყოფილია საფუარის *Sarccharomyces cerecisiae*-ს უჯრედის კედლების შინაგანი გარსიდან და რომლებიც წარმოქმნიან უდიდესი ადსორბციული ზედაპირის მქონე უნიკალურ სტრუქტურას (0,5 კგ - 1 ჰა).

აღწერა: ღია ყავისფერი ფხვნილი

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში

ფარმაკოთაერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი, ადსორბციული საშუალება

ფარმაკოლოგიური თვისებები

დეტოქსაპლუსი ორგანული ადსორბენტი, რომელიც წარმოადგენს ეთერიფიცირებულ გლუკომანანს. ალუმოსილიკატებზე დაფუძნებული ტრადიციული ადსორბენტებისაგან განსხვავებით, დეტოქსაპლუსი შეიწოვს მიკოტოქსინების ფართო სპექტრს, მათ შორის აფლატოქსინებს, ოხრატოქსინებს, ზეარალენონებს, ციტრინინს, ვომიტოქსინს, T2-ტოქსინს და არ შეიწოვს მიკროელემენტებს და ვიტამინებს.

დანიშნულება

დეტოქსაპლუსი განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველებისათვის, მიკოტოქსინებით კონტამინირებულ საკვებში დასამატებლად.

ბიოლოგიური თავისებურება

დეტოქსაპლუსი თავის მოქმედებას ავლენს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში; მაღალი ადსორბციული ზედაპირის ხარჯზე, იგი სწრაფად შეიწოვს მიკოტოქსინებს (აფლატოქსინებს, ზეარალენონს, ვომიტოქსინს, ოხრატოქსინს და სხ.), რაც აბრკოლებს მათ მოხვედრას სისხლში, ღვიძლში და ორგანიზმის სხვა ორგანოებში და ქსოვილებში. ამ თვისების გამო წყდება მიკოტოქსინების ნეგატიური ზემოქმედება ცხოველის და ფრინველის ორგანიზმზე, მიკოტოქსინებით დაბინძურებული საკვების გამოყენების შემთხვევაში იზრდება მოზარდის ზრდის ტემპი.

უკუჩვენება

დეტოკსოპლუსი გამოყენებაში უკუჩვენება არ არის მითითებული. პრეპარატის მიღების შემდეგ მეცხოველეობის პროდუქტების გამოყენებაში შეზღუდვა არ არის.

თერმოსტაბილურობა: იტანს გაცხელებას 121°C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში.

გამოყენების წესი და დოზირება

მიკოტოქსინების შემცველობის დონე:

დეტოკსოპლუსი კგ/ტ	მაღალი	საშუალო	დაბალი
	0,5-1,0	0,4-0,8	0,2-0,5

სადედე გუნდის ფრინველისათვის დოზა იზრდება 1,5-ჯერ.

დეტოკსოპლუსი შეაქვთ მშრალ კომბინირებულ საკვებში, საწარმოში არსებული შემრევის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

შენახვის პირობები:

-25-დან +25-⁰C ზე ჰერმეტიკულ შეფუთვაში.

ვარგისიანობის ვადა: 36 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: დოქტორ ბატა, უნგრეთი.